



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მოჯალაბე

მოჯალაბე, ყმა გლეხთა უმდაბლესი სოციალური კატეგორია XVII-XIX სს. დას. საქართველოში. დოკუმენტებში **მ.** ზოგჯერ იწოდება მესადგომედ ან მოსახლედ (მეგრ. – დელმახორე, მეახორე; აფხ. – ახაშვალა). **მ.** საბუთებში პირველად 1637 მოიხსენიება, ტერმინი „მოსახლე“ (მოსასახლე) კი – უფრო ადრე, 1578. **მ.** იყო ტყვე, ნამზითვი ან ნასყიდი ადამიანი. მას საკუთარი მიწა და კარ-მიდამო არ გააჩნდა, თავისი ოჯახით მებატონის კარზე ცხოვრობდა, მის სრულ განკარგულებაში იყო და ყველაზე მძიმე და სათაკილო სამუშაოს ასრულებდა (ღორის მწყემსვა, შუშის დამზადება, ღომის ცეხვა). ბატონს შეეძლო **მ.** დაეგირავებინა, გაეჩუქებინა ან მისი ოჯახის წევრები ცალ-ცალკე გაეყიდა. **მ.**-ს ეკრძალებოდა ქალიშვილის გათხოვებაც, რ-საც ხშირ შემთხვევაში მოახლედ ატანდნენ მზითევში ბატონის ქალს. **მ.** თითქმის მონურ მდგომარეობაში იყო იმ განსხვავებით, რომ ბატონს მისი მოკვლის უფლება არ ჰქონდა. გლეხის გადაყვანა ამ კატეგორიაში სასჯელის ერთ-ერთ უმძიმეს ზომად ითვლებოდა. **მ.** ყმობიდან გათავისუფლდა სხვა გლეხებთან ერთად საგლეხო რეფორმის დროს.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, თბ., 1938; ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი კ., ბატონყმობა სამეგრელოში, ტფ., 1924; ძ ი ძ ი გ უ რ ი ი., საგლეხო რეფორმა აფხაზეთში, სოხ., 1960; ს ა ნ ა ძ ე მ., გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, თბ.; 1979.

**ქ. ჩხატარაიშვილი**

---